საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ია გაბედავა - კოლეგიის თავმჯდომარე

არჩილ ჩოფიკაშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ა. ზ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.12.18

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 170/18

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატი ლ. ჭ.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ლ. ჭ.-ისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2018 წლის 13 დეკემბერს, ა. ზ.-მა საჩივრით მომართა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას და მოითხოვა ადვოკატ ლ. ჭ.-სთვის დისციპლინური პასუხიმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2016 წლის 30 ივნისს ადვოკატ ლ. ჭ.-ს მისცა რწმუნებულება სამკვიდრო უძრავი ქონებიდან კუთვნილი წილის რეგისტრაციის მიზნით, რისთვისაც ადვოკატმა ჰონორარის სახით მოსთხოვა 2000 ლარის გადახდა. საჩივრის ავტორსა და ადვოკატს შორის ნოტარიული წესით გაფორმდა შეთანხმება და ა. ზ.-მა ადვოკატს გადასცა შეთანხმებული ჰონორარი. შეთანხმების მიხედვით, 2016 წლის 15 ოქტომბრამდე ადვოკატს უნდა დაერეგისტრირებინა უძრავი ქონება კლიენტის სახელზე, სხვა შემთხვევაში ადვოკატი ვალდებული იყო აღებული თანხა უკან დაებრუნებინა.

1.3 ა. ზ.-ის განცხადებით, ადვოკატმა არ დაარეგისტრირა უძრავი ქონება მის სახელზე, რის გამოც მოსთხოვა გადახდილი ჰონორარის დაბრუნება. ადვოკატი ლ. ჭ. ა. ზ.-ს დაჰპირდა თანხის დაბრუნებას, რაც არ შეასრულა. ამასთან, ადვოკატმა გაწყვიტა კომუნიკაცია საჩივრის ავტორთან და აღარ პასუხობს მის სატელეფონო ზარებს.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ლ. ჭ.-მ 01 თებერვალს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, ხოლო 2019 წლის 21 თებერვალს გამოიკითხა საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

2.2 ადვოკატის განმარტებით ა. ზ. გაიცნო მისი ახლობლის - ისმაილ მამედოვისგან. საჩივრის ავტორმა აუხსნა, რომ მისმა ძმამ სრულად მიიღო უძრავი ქონება მემკვდრეობით და არ აძლევდა მას იქ ცხოვრების უფლებას. ადვოკატმა უთხრა, რომ დოკუმენტაციას გაეცნობოდა და საჭიროების შემთხვევაში მიმართავდა სასამართლოს. ადვოკატსა და ა. ზ.-ს შორის შედგა შეთანხმება, რომლის მიხედვით ეს უკანასკენლი მომსახურეობისათვის ადვოკატს გადაუხდიდა 2000 ლარს, რაც ითვალისწინებდა როგორც ხარჯებს, ასევე ჰონორარს. საჩივრის ავტორმა ადვოკატს ნაწილ-ნაწილ გადაუხადა 2000 ლარი, თუმცა თანხის მიღების შესახებ ადვოკატს რაიმე სახის ჩანაწერი არ განუხორციელებია.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ა. ზ.-ის ინტერესების დასაცავად ყველა სამართლებრივ ქმედებას ახორციელებდა. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების მიმართა ბოლნისის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ ადვოკატის განცხადებაზე დაადგინა ხარვეზი, რის თაობაზეცლ. ჭ.-მ აცნობა კლიენტს. ა. ზ.-ს არ სურდა სასამართლოს გზით წასვლა, რადგან სურდა საქმის დროულად დასრულება, რის გამოც ადვოკატმა აღარ შეავსო დადგენილი ხარვეზი. ადვოკატმა ა. ზ.-თან ერთად მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და გამოითხოვა დოკუმენტები, რომლებიც არ ადასტურებდნენ იმ სამართლებრივ გარემოებებს, რის საფუძველზეც შეიძლებოდა მომხდარიყო უძრავი ქონების რეგისტრაცია. კერძოდ, გაირკვა რომ ა. ზ. არ იყო კომლის წევრი და მას სჭირდებოდა კომლის წევრთა თანხმობები, რისთვისაც ადვოკატმა შეადგინა ტექსტი, სანოტარო წესით თარგმნა და გადასცა ა. ზ.-ს, რადგან აღნიშნული ტექსტი გაეგზავნა რუსეთსა და თურქეთში, მათი ოჯახის წევრების თანხობების მოსაპოვებლად. მათი თანხომების მოპოვებით ა. ზ.-ს შესაძლებლობა ექნებოდა მათი წილი ქონების განკარგვით მისი კუთვნილი წილის რეგისტრაცია მოეხდინა. ა. ზ.-მა გააგზავნა ნათარგმნი ტექსტი თანამესაკუთრეებთან, მაგრამ მათგან პასუხი არ მიუღია, ამიტომ გადაწყვიტა თავად წასულიყო საზღვარგარეთ თანხმობების მოსაპოვებლად.

2.4 ადვოკატ ლ. ჭ.-ის განმარტებით, ა. ზ.-თან შესახვედრად მარნეულში ჩასული იყო დაახლოებით 14-ჯერ და თითოეული მგზავრობა უჯდებოდა დაახლოებით 40-50 ლარი. ადვოკატს ემსახურებოდა მძღოლი, გ. გ., რომელიც საჭიროების შემთხვევაში ასრულებდა თარჯიმნის ფუნქციასაც, ვინაიდან ა. ზ. საუბრობდა რუსულად, ადვოკატს კი სრულად არ ესმოდა მისი საუბარი. ადვოკატი გ. გ.-ს ასევე ატანდა სხვადასხვა დოკუმენტაციას კლიენტთან მისატანად.

2.5 საზღვარგარეთ წასვლამდე საჩივრის ავტორმა ადვოკატს მოსთხოვა თანხის დაბრუნება. მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატი თანხის სრულად დაბრუნებაზე იყო შეთანმხებული, ადვოკატმა გადაწყვიტა თანხის ნაწილობრივ დაბრუნება. 2017 წლის ზაფხულში, ადვოკატმა ა. ზ.-ს გადასცა 500 ლარი, შემდგომ კი აწარმოებდა მოლაპარაკებებს დარჩენილი თანხის დაბრუნებაზე, ხარჯის გამოკლებით, თუმცა ა. ზ.-მა მას მოსთხოვა 2800 ლარის გადახდა, რისი გადახდის ვალდებულება ადვოკატს არ ჰქონდა.

2.6 ლ. ჭ.-ის განმარტებით მას სტაბილური კომუნიკაცია ჰქონდა კლიენტთან, ხოლო იმ პერიოდში როდესაც ა. ზ. რუსეთში იმყოფებოდა ადვოკატს მისი საზღვარგარეთის ნომერი არ ჰქონდა და შესაბამისად ვერ უკავშირდებოდა.

3 დისციპლინური დევნის აღმძვრელი კოლეგიის საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2019 წლის 19 დეკემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიიჩნია, რომ ადვოკატის მიერ სავარაუდოდ დარღვეულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 8.12 და 8.15 მუხლებით გათვალისწინებული ეთიკური ვალდებულებები, ვინაიდან ადვოკატი ა. ზ.-ისთვის იურიდიული მომსახურების გაწევის პროცესში ადვოკატი დოკუმენტალური წესით არ აღრიცხავდა კლიენტისგან მიღებულ თანხებს (მუხლი 8.12) და ურთიერთობის დასრულების შემდეგ კლიენტს არ დაუბრუნა გამოუმუშავებელი ჰონორარი (მუხლი 8.15).

II სამოტივაციო ნაწილი

4. სამართლებრივი შეფასება:

4.1 2021 წლის 17 სექტემბერს საჩივრის ავტორმა ა. ზ.-მა ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადება, რომლის მიხედვით მას აღარ აქვს პრეტენზიები ადვოკატის მიმართ და სურს დისციპლინური საქმეზე წარმოების შეწყვეტა.

4.2 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, „დისციპლინური კოლეგია იღებს გადაწყვეტილებას დისციპლინური წარმოების შეწყვეტის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ საჩივრის ავტორი, უარს იტყვის საჩივარზე“.

4.3 ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, განხილვის კოლეგია მიიჩნევს, რომ ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური წარმოება „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-5 მუხლის მე-7 პუნქტით, 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით, 33-35 მუხლებით, 37-ე მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. №170/18 დისციპლინურ საქმეზე ადვოკატ ლ. ჭ.-ის მიმართ /სიითი №/ შეწყდეს დისციპლინური წარმოება.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.
3. განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილება დისციპლინური წარმოების შეწყვეტის თაობაზე არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ია გაბედავა/

კოლეგიის წევრი: /არჩილ ჩოფიკაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/